

„ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“ როგორც სასწავლო რესურსი

ავტორი [თეონა ბექიშვილი](#)

2019 წელს „არტანუჯმა“ გამოსცა ქართველი მწერლისა და ენათმეცნიერის დიანა ანფიმიადის ნახევრად დოკუმენტური და ნახევრად მხატვრული წიგნი „ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“. 2020 წელს წიგნმა იაკობ გოგებაშვილის პრემია მიიღო ნომინაციაში „წლის საუკეთესო პროზაული კრებული“ 13 წლისა და უფრო მაღალ ასაკობრივ კატეგორიაში.

მართლაც, ვფიქრობ, რომ „ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“ მოზარდებისთვის დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია. ის სასიამოვნოდ საკითხავია მათთვის, ვისაც საერთოდ წიგნი უყვარს და მათთვისაც, ვისაც გვინდა წიგნი შევაყვაროთ. მწერლის მაღალ ოსტატობასთან ერთად წიგნში მკვეთრად იგრძნობა ავტორის როგორც მეცნიერის ნამუშევარი და ეს საინტერესო ნაზავი ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში.

„ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“, როგორც სათაურიდანაც ჩანს, შოთა რუსთაველის უკვდავ პოემაზეა, ოღონდ არა ტექსტზე, არამედ ხელნაწერებზე, უფრო კი იმ ადამიანებზე, რომლებიც ამ ხელნაწერებზე კვალს ტოვებდნენ. „ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“ ბევრ საინტერესო სახეს აცოცხლებს. ზოგი მათგანი გამოგონილია, ზოგი – მართლა არსებული. მღელვარე, ინტიმური, ხშირად ცრემლისა თუ ღიმილის მომგვრელი ამბები იკითხება ამ ისტორიებში. მაგალითად, ერთი, ყველასთვის ცნობილი „თავაქარაშვილისეული ხელნაწერის“ ამბავი გადამწერის დრამატული ბედის შესახებ მწერლის ფანტაზიით ისეა შევსებული, ძნელია ზღვარის დადება, სად გამონაგონია და სად – სინამდვილე. ის კი ცხადია, რომ ხელნაწერები ჰყვებიან:

„დიდება სრული მყოფელსა ღმერთსა, ყოველთა შემწე მფარველს. ვეფხის ტყაოსანი თიბათვის ცამეტსა, სრულ თვრამეტსა აგვისტოსა, ქორონიკონსა სამოცდა თორმეტ... რამ აკლდეს, ნურავინ დამწყველით. ტყუობაშიდ ვსწერდი, ოცდა ცხრა რვეული არის, ფურცელი... ორმოცი“.

და ჰყვება დიანა ანფიმიადიც:

„როდესაც კალიგრაფს „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა უბრძანა [ლევან მეორე დადიანმა], ნახატებით შემკობა და გაწყობა, რასაკვირველია, იგულისხმა კიდევ, რომ მისი პორტრეტიც უნდა აღმოჩენილიყო მინიატურათა შორის. დიდი პოეტი და დიდი მთავარი – მშვენიერი შეხვედრა საუკუნეების შემდეგ, ასეთი იყო მთავრის ამბიცია“.

დიანა ანფიმიადი ამ წიგნს რომანს უწოდებს, რომანს, რადგან მას ერთი მთავარი პერსონაჟი ჰყავს – „ვეფხისტყაოსანი“.

ლიტერატურის მასწავლებლის ერთ-ერთი ამოცანაა, შეაყვაროს მოსწავლეს კითხვა, მხატვრული სიტყვა. თავისთავად ცხადია, ამას ის მარტო ვერ შეძლებს, მშობლის, გარემოს, ბიბლიოთეკის – ბევრი ფაქტორის თანხვედრაა საჭირო. ასწავლო, ერთია და ასწავლო სიამოვნების მიღება – მეორე. ამიტომ არის მნიშვნელოვანი სხვადასხვაგვარი სტრატეგია და სიფრთხილე, რათა მოსწავლეები არ

დავტოვოთ სავალდებულო საზეპიროების პირისპირ და არ შევაძულოთ ის, რაც, წესით, მათი, როგორც ქართულენოვანი მკითხველის, მთავარ სიამოვნებად უნდა იქცეს.

ლიანა ანფიმიადის ეს წიგნი სწორედ იმ ტექსტებს მიეკუთვნება, რომლებიც დაეხმარება ჩვენს მოსწავლეებს, ემოციური ბმა გაუჩნდეთ „ვეფხისტყაოსანთან“ და, ამასთანავე, შეიქმნან წარმოდგენა იმის შესახებ, რამდენად ძვირფასი იყო ეს ტექსტი ჩვენი ქვეყნისთვის და რამდენად საინტერესო, მძიმე და სახიფათო გზა გამოიარა, სანამ ჩვენამდე მოვიდოდა.

წიგნთან ერთად მოწაფეებს შეგვიძლია გავაცნოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენის კორპუსის მიერ მომზადებული საიტი, სადაც ამომწურავი ინფორმაციაა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესახებ:

ქართული ენის კორპუსი

რითაა მნიშვნელოვანი და მომხიბვლელი სასწავლო რესურსად „ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“?

მოდით, ცოტა შორიდან დავიწყოთ.

ბავშვის წიგნიერებაზე ზრუნვა, საუკეთესო შემთხვევაში, წლამდე ასაკში იწყება. თანამედროვე ბაზარზე უამრავი წიგნი-სათამაშოა, რომლებიც, როგორც საყვარელი ნივთები, სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი სასურველი კომპონენტია პატარისთვის. მერე ჩნდება ამ წიგნებში სიტყვა, ჯერ – ცოტა, მერე – უფრო მეტი. რაღაც ასაკიდან მშობელი უყვება და შვილი ათვალისწინებს, განვითარებასთან ერთად ეჩვევა წაკითხულის მოსმენასაც, სკოლის ასაკიდან უკვე ცდილობს კითხვას და ყველა ამ ეტაპზე მისთვის მნიშვნელოვანია წიგნი – როგორც ნივთი, რომელსაც ახლავს გარკვეული მოგონებები, ემოციები, ბებიისა თუ ბაბუის სურნელი, ოჯახური იდილიის განცდა.

„ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“ სწორედ ამ გრძნობებზე გვიყვება. გვიყვება ამბებზე, წიგნის იქით რომ ხდებოდა, ეს წიგნი რომ ვიღაცის საკუთრება იყო და გვიბიძგებს, ჩვენც მოვძებნოთ ჩვენი „ვეფხისტყაოსნები“, ამ პოემასთან დაკავშირებული ჩვენი ისტორია, ჩვენი ემოციური თავგადასავალი, რომელიც დაგვხმარება, უფრო ახლოდან დავინახოთ ტექსტი და მივიდეთ ის სიხარული, რომელიც დიდი ნაწარმოების კითხვას ახლავს თან.

წიგნის გაცნობის შემდეგ მრავალგვარი საშინაო დავალების მიცემაა შესაძლებელი და ეს დავალებები სწორედ იმ ტიპისაა, რომლებიც მოზარდებს აძლევს საშუალებას, იყვნენ მეტად თავისუფალნი, მეტად გამოავლინონ თავიანთი ინდივიდუალობა და მეტად დაინახონ საკუთარი თავი ამ ტექსტისა და თავად „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით.

უპირველესად, ვფიქრობ, საინტერესო იქნება, მათი როგორც მკითხველების გამოცდილება რომელიმე ერთ წიგნთან დაკავშირებით. შეიძლება, ერთმანეთს გაუზიარონ, რა გამოცდილება აქვთ, ჰქონდათ თუ არა და ახსოვთ თუ არა თავიანთი წიგნები, რომლებსაც სკოლამდე უკითხავდნენ ან თავად კითხულობდნენ უმცროს კლასებში, ახსოვთ თუ არა რომელიმე ილუსტრაცია. იქნებ ახლაც აქვთ შინ ის წიგნები. მერე შეგვიძლია მივცეთ საშინაო დავალებად, თავად „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიები გამოიკვლიონ. შეიძლება, სახლში ჰქონდეთ „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც რამდენიმე

თაობაა ოჯახშია და სწავლისა და კითხვისგან უკვე ისე გაცვეთილი, რომ თავისთავად ასახავს რაღაც ისტორიას. შეიძლება, სკოლის ბიბლიოთეკაში მოძებნონ, ან თუნდაც მეგობრებთან.

ასევე მნიშვნელოვანია დისკუსია ელექტრონული წიგნისა და ნაბეჭდი წიგნის შესახებ. შეიძლება, ამას დებატების სახე მივცეთ, შეიძლება, არგუმენტირებული ესეს დაწერა დავავალოთ. მნიშვნელოვანია, ამ დროს არ გამოვამჟღავნოთ, ჩვენი სიმპათია რომელ მხარესაა, რათა რაც შეიძლება თამამად იგრძნონ თავი და მეტად შეეცადონ არგუმენტების გაზიარებას.

თავისთავად ცხადია, ელექტრონულ წიგნსაც და ნაბეჭდ წიგნსაც უამრავი პლუსი და მინუსი მოეძებნება, თუმცა რამდენიმე ნაბეჭდი წიგნი, თუნდაც გამონაკლისის სახით, ვფიქრობ, ყველა ოჯახში უნდა იყოს.

ასევე შეიძლება, არა კონკრეტულად წიგნზე, არამედ წაკითხვის, სწავლების ისტორიაზე შევაკრებინოთ მასალა. ვთხოვოთ, ჩაიწერონ მოკლე ზეპირი ისტორიები სხვადასხვა თაობის ადამიანებთან: როგორ სწავლობდნენ, როგორ და სად კითხულობდნენ, რა მოგონებები აკავშირებთ; დავავლოთ ინფორმაციის მოძიება იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იციან.

ლიტერატურის სწავლებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ჟანრული თავისებურებების განსაზღვრა, თავად ჟანრის განვითარების ისტორია. ამ კუთხითაც მნიშვნელოვანი წიგნია „ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“. ის უდავოდ რომანია, ოღონდ თანამედროვე რომანი, რომელიც უპირველესად ახალი ფორმის ძიებას და თავად ჟანრის კანონების რღვევას გულისხმობს. თუ გავიხსენებთ, რომ 2015 წელს შვედეთის აკადემიამ ნობელის პრემია მიანიჭა ბელარუს ქალს, სვეტლანა ალექსიევიჩის „ლიტერატურაში ახალი ჟანრის დამკვიდრებისთვის“ (ის ზეპირ ისტორიებს აქცევს რომანებად), ცხადი გახდება, რომ ოცდამეერთე საუკუნე მეტი თავისუფლებისკენ მიიღტვის და ამ ძიებით პოულობს კიდევ ახალ ფორმებს, რომლებიც მეტად მომხიბვლელია თანამედროვე მკითხველისთვის.

დიანა ანფიმიადის „ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“ სწორედ ამ ტიპის ლიტერატურაა. ისიც ერთგვარი ისტორიებია, ოღონდ არა ზეპირი, არამედ წერილობითი. ამდენად, ლიტერატურის მასწავლებელს ის ლიტერატურათმცოდნეობის კუთხითაც მრავალგვარი საუბრისა თუ პოლემიკის საშუალებას აძლევს. არის თუ არა ეს წიგნი რომანი, როგორია თავად რომანის ისტორია, რა სახეცვლილებით აგრძელებს ეს ჟანრი განვითარებას, რამ გამოიწვია ჟანრული თავისებურებების აღრევა თუ მკვეთრი ხაზის გაქრობა, რას შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული ნაწარმოები?

ამდენად, დიანა ანფიმიადის „ჩვენ, ვეფხისტყაოსნები“ მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც უბრალოდ მკითხველისთვის, ასევე სკოლისთვისაც, რადგან მას აქვს პოტენციალი, მრავალგვარი დანიშნულების სასწავლო რესურსად გარდაიქმნას.